საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მურუსიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 01.09.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს მიხეილ ჯინჯოლია კანდიდატურა?
დიახ   არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მდივანს ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის მიხეილ ჯინჯოლიას კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭომ 2024 წლის 31 დეკემბრის N1/164 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა, რომელშიც მონაწილეობას იღებს კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული სანდო ინფორმაციისა და საჯარო მოსმენის საფუძველზე, 2025 წლის 28 ივლისს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შეჯვაფასე შერჩევის პროცესში მონაწილე ყველა კანდიდატი, მათ შორის მიხეილ ჯინჯოლია და მიკიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით მაქსიმალური 100 ქულიდან მივანიჭე 88 ქულა.

ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებებისა და შეფასებათა დასაბუთებების მიხედვით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას - ყველა წევრი მიიჩნევს, რომ მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგეს 1085 ქულას, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1200) 90,42 პროცენტია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 5 აგვისტოს N1/85 განკარგულების თანახმად, აღნიშნული შერჩევის პროცესის ფარგლებში შემდგომ ეტაპზე გადავიდა საუკეთესო შედეგის მქონი ერთი კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია.

შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12-13 პუნქტების შესაბამისად, შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტისთვის მიხეილ ჯინჯოლიას კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე